

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N19 დადგენილების

დანართი N 1

(კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით:

20.02.2018 წლის N20;

20.07.2018 წლის N75;

06.02.2019 წლის N06-01/08

06.08.2020 წლის N06-01/50 და

11.05.2023 წლის N533618 დადგენილებებით).

ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე დებულება აწესრიგებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე (შემდეგში „პროგრამა“) მიღების გამოცხადების, ჩარიცხვისა და სწავლის პროცედურებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების და ბსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 2. დოქტორანტურა

1. დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრების მომზადებას და სრულდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

2. დოქტორანტურის მიზანია, სადოქტორო პროგრამის საფუძველზე, დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდის, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისთვის ხელშეწყობა.

3. ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 (სამი სასწავლო წელი) და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. ([ცვლილება - 06.08.2020 წლის N06-01/50 დადგენილებით](#))

4. სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, ამ ფაკულტეტის შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით, დოქტორანტის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს მე-2 თვისა. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება. ([ცვლილება - 06.02.2019 წლის N06-01/08 დადგენილებით](#))

5. სადისერტაციო ნაშრომის სათაურის კორექტირება შესაძლებელია განხორციელდეს ნაშრომის წინასწარ დაცვამდე. ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივ დეპარტამენტს, რომელიც ერთი თვის ვადაში განიხილავს შუამდგომლობას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, წარდგინებით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს. წარდგინების რეგისტრაციიდან მომდევნო ერთი თვის ვადაში ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის თემის სათაურის კორექტირებასთან (ცვლილებასთან) დაკავშირებით. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება. ([ცვლილება - 06.02.2019 წლის N06-01/08 დადგენილებით](#))

6. დოქტორის ხარისხი არის უმაღლესი აკადემიური ხარისხი, რომელიც დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების შესრულებისა და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შემდეგ.

7. დოქტორანტურის კურსდამთავრებულს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

მუხლი 3. სადოქტორო პროგრამის შემუშავება და ხელმძღვანელობა

1. ბსუ-ს სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ან უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტთან, პარტნიორ უნივერსიტეტთან, სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთობლივად, უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.
2. ბსუ-ს მიერ სხვა საგანმანათლებლო/სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან ერთობლივი სადოქტორო პროგრამის განხორცილების შემთხვევაში, დოქტორანტის ხელმძღვანელობისა და ხარისხის მინიჭების პროცედურა განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით და წინამდებარე დებულებით.
3. პროგრამის შემუშავებასა და ეფექტურ განხორციელებას კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც არის შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. იგი კოორდინირებას უწევს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, აგვარებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს (სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად დოქტორანტების კონსულტირება ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, ამ კომპონენტების განხორციელების მონიტორინგი და სხვ.).
4. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.
5. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს ბსუ-ს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მეცნიერი ან სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

მუხლი 4. დოქტორანტურაში მიღების გამოცხადება და ჩარიცხვის წესი

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის მიმართვის საფუძველზე, განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამებზე მისაღებ კონტინგენტს.
2. დოქტორანტურაში მისაღები კონკურსი ცხადდება შემოდგომის სემესტრისთვის ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრება: წარსადგენი საბუთების ნუსხა; მათი წარდგენის ადგილი და ვადა; თითოეულ პროგრამაზე მისაღები გამოცდების (უცხო ენაში და გასაუბრება სპეციალობაში) ჩამონათვალი, მათი ჩატარებისა და გასაჩივრების ვადები; სარეგისტრაციო, საგამოცდო და საპრეტენზიო (სააპელაციო) კომისიების შემადგენლობა.
3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს, ასევე, უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. დოქტორანტობის კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის მოეთხოვება:

- ა) სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა (შედგენილი თანდართული ფორმის შესაბამისად - ფორმა N1);
- ბ) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა (**ცვლილება - 20.02.2018 წლის N20 დადგენილებით, ვრცელდება - 2018-2019 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე**);
- გ) ქართული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. კანდიდატისათვის, რომლისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის და სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე, სავალდებულოა ქართული ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია ჩააბაროს ბსუ-ს მიერ ორგანიზებული გამოცდა ქართულ ენაში. (**ცვლილება - 20.07.2018 წლის N75 და 08.05.2023 წლის N06-01/55 დადგენილებით**).
5. დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას დარგობრივ საგამოცდო კომისიასთან. კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციალობის გამოცდის (გასაუბრების) შედეგებს. სადოქტორო პროგრამით შესაძლებელია დოქტორანტობის კანდიდატებისათვის მიღების დამატებითი პირობების განისაზღვრა.
6. დოქტორანტობის კანდიდატთან გასაუბრებამდე, არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე, კანდიდატის კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა ეგზავნება საგამოცდო კომისიის წევრებს. დოქტორანტობის კანდიდატთან გასაუბრება კომისიის მიერ ფასდება 100-ქულიანი სისტემით (თანდართული შეფასების ფორმა N2).
7. დოქტორანტობის კანდიდატთან გასაუბრების/უცხო ენის გამოცდის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს შესაბამისი უწყისის (თანდართული უწყისის ფორმა N3) შევსებას. მაქსიმალური შეფასება 100 ქულა, ხოლო მინიმალური - 51 ქულა.
8. კონკურსში გამარჯვებული დოქტორანტობის კანდიდატთან ფორმდება ხელშეკრულება უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით, რომლის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, გამოსცემს დოქტორანტურაში კანდიდატის ჩარიცხვის ბრძანებას.

მუხლი 5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ასევე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი). სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ, მათ შორის მინიმუმ ერთი Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ მაღალრეიტინგულ რეფერირებად/რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში. (**ცვლილება - 20.02.2018 წლის N20 (ვრცელდება - 2018-2019 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე); 06.02.2019 წლის N06-01/08 და 08.05.2023 წლის N06-01/55 დადგენილებით**)
2. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი, (შემდეგში თანახელმძღვანელი): (**ცვლილება - 20.02.2018 წლის N20 (ვრცელდება - 2018-2019 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე)**) და 06.08.2020 წლის N06-01/50 დადგენილებით)
- ა) სხვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან სამეცნიერო თანამდებობის პირი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი);

ბ) უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან მოწვეული შესაბამისი მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი (ასეთ შემთხვევაში დოქტორანტი თავისუფლდება დისერტაციის შემოკლებული ვარიანტის (რეფერატის) საერთაშორისო რეცენზირების ვალდებულებისაგან);

გ) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამის დარგში სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტს უკვე ჰქონა წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის ან მეორე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი.

3. სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის, ასევე, ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის ან სხვა დაწესებულებიდან მისი მოწვევის გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ბსუ-ს რექტორი, დოქტორანტის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს მე-2 თვისა (გამონაკლის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, დამატებით ხელმძღვანელის დანიშვნა დასაშვებია სხვა ვადებშიც) (**ცვლილება - 20.02.2018 წლის 20 თებერვლის N20 დადგენილებით**).

4. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ბსუ-ში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსის დაკარგვას. ასეთ შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო ღებულობს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მისი მოწვევის შესახებ და, რექტორის ბრძანების საფუძველზე, მასთან ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას, ასევე, ხელმძღვანელობს დოქტორანტის პროფესორის ასისტირებისათვის მომზადებას.

6. თუ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, ამ შემთხვევაში, მეორე სასწავლო წლის დაწყებამდე მან დასაბუთებული განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს, რომლის გადაწყვეტილება შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით წარედგინება ბსუ-ს რექტორს, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, არგუმენტირებული განცხადების საფუძველზე, ხელმძღვანელის ცვლილება დასაშვებია სხვა ვადებშიც.

7. სამეცნიერო ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციებია: (**დამატება - 08.05.2023 წლის N06-01/55 დადგენილებით**)

ა) რეგულარულად გაუწიოს კონსულტაციები დოქტორანტს, რაც გულისხმობს შემდეგს: კონსულტაციის სიხშირე უნდა შეესაბამებოდეს პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას; კონსულტაცია უნდა მოიცავდეს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას, ზოგადი სამეცნიერო რჩევების მიცემას, დახმარებას კვლევის დიზაინსა და პროექტის მენეჯმენტში, სემინარის/კოლოქვიუმის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში, აგრეთვე სამეცნიერო სტატიების რეფერირებად უურნალში გამოქვეყნების შესახებ რჩევების მიცემას;

ბ) შეასრულოს სამეცნიერო ხელმძღვანელისათვის საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული აქტივობები, მათ შორის წარმოადგინოს სადისერტაციო ნაშრომის შესახებ ამ დებულებით გათვალისწინებული დასკვნები.

მუხლი. 6 დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
2. სასწავლო კომპონენტი (სულ არაუმეტეს 60 კრედიტი) გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სალექციო კურსებსა და სემინარებს, ხოლო კვლევითი კომპონენტი მოიცავს 2 კოლოკვიუმსა და სადისერტაციო ნაშრომს. (**ცვლილება - 06.08.2020 წლის N06-01/50 დადგენილებით**)
3. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, სავალდებულო და არჩევითი კურსები და სემინარები განისაზღვრება ბსუ-ს შესაბამისი სადოქტორო პროგრამით.
4. სემინარებისა და კოლოკვიუმების ჩატარების განრიგი და შემფასებელი კომისიის შემადგენლობა მტკიცდება დეკანის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით, დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

მუხლი 7. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა

1. თითოეული დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, სწავლის დაწყებიდან 2 თვეში ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმებს (თანდართული ფორმები N4 და N5). დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება სადისერტაციო ნაშრომის (კონკრეტული კვლევითი პროექტის) განსახორციელებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო განრიგი.
2. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 8. პროფესორის ასისტენტობა

1. პროფესორის ასისტენტობა არის სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ნაწილი და გულისხმობს დოქტორანტის მიერ აკადემიური პერსონალის ასისტენტობას სასწავლო პროცესში. აღნიშნული მოიცავს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის: ჯგუფში მუშაობის, ლაბორატორიული სამუშაოს, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების/ტესტების მომზადებას, ჩატარებასა და ა.შ.
2. პროფესორის ასისტენტობისათვის განსაზღვრული სამუშაოს შესრულების გაანგარიშება ხდება შესაბამისი სასწავლო კურსის მოცულობის გათვალისწინებით.
3. დოქტორანტი ასისტენტობის ხელმძღვანელს წარუდგენს ანაგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ, თანდართული ფორმის შესაბამისად (ფორმა N6), რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი შეფასების უწყისის გაფორმებას და ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენას (განთავსდება დოქტორანტის პირად საქმეში).
4. პროფესორის ასისტენტობა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. 51-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში დოქტორანტი ითვლება ჩაჭრილად.

მუხლი 9. სადოქტორო სემინარი

1. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტი ვალდებულია მოამზადოს ორი

სადოქტორო სემინარი – დარგში და ქვედარგში. სემინარის შესასრულებლად სასწავლო სემესტრი და კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო პროგრამით (სასწავლო გეგმა).

2. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სემინარის თემა დარგის, ქვედარგის აქტუალურ საკითხებს ეძღვნება.
3. სასემინარო თემას სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში ირჩევს დოქტორანტი. დოქტორანტი მუშაობის პროცესში კონსულტაციებს გადის სამეცნიერო ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან.
4. სემინარის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით (60 ქულა- შინაარსობრივი მხარე და 40 ქულა - პრეზენტაცია).
5. დოქტორანტი სემინარის ჩატარებამდე 10-15 კალენდარული დღით ადრე, სასემინარო ნაშრომს წარუდგენს სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომელიც აფასებს სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს შემდეგი კრიტერიუმებით: საკითხის დასმა; საკითხის გადაწყვეტის გზა; მიღებულიშ ედეგები; მათი არგუმენტირებული დასაბუთება და სხვ. – მაქსიმუმალური შეფასება- 60 ქულა. სემინარში მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება მინიმუმ 31 ქულით.
6. სასემინარო ნაშრომის პრეზენტაციას, დისკუსიაში მონაწილეობას (15–25 წუთი) აფასებს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია (არანაკლებ 3 პირი, მათ შორის სამეცნიერო ხელმძღვანელი).
7. სემინარის დაცვის საბოლოო შეფასება აისახება უწყისში (თანდართული ფორმა N7). სემინარი დაცულად ჩაითვლება თუკი დოქტორანტი საბოლოოდ მიიღებს 51 ქულას.
8. სადოქტორო სემინარი წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:
 - ა) სასემინარო თემის ბეჭდური ვერსია (25–30 გვერდი, A4 ფორმატი, შრიფტი-sylfaen, შრიფტის ზომა - 12, სტრიქონებს შორის მანძილი -1,5; დამორება გვერდებიდან 3–1,5 სმ);
 - ბ) სასემინარო თემის ელექტრონული ვერსია CD დისკზე.

მუხლი 10. დოქტორანტის კოლოქვიუმი

1. ბსუ-ს დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში სტუდენტისთვის განსაზღვრულია ორი კოლოქვიუმის ჩატარება. კოლოქვიუმი არის დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი, რომლის მომზადება მიზნად ისახავს:
 - ა) დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის არეალის გაფართოებას;
 - ბ) დარგის ინოვაციური კვლევის მეთოდოლოგიის დამოუკიდებლად შემუშავებასა და სრულყოფას;
 - გ) კოლოქვიუმის თემის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულ გააზრებას;
 - დ) პრეზენტაციის უნარისა და დისპუტის ხელოვნების განვითარება-სრულყოფას;
 - ე) სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადებას რეფერირებადი ჟურნალისათვის.
2. დოქტორანტი კოლოქვიუმის დაცვამდე 10-15 კალენდარული დღით ადრე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს კოლოქვიუმის ბეჭდურ და ელექტრონული ვერსიას, რომელიც გადაცემა შესაბამისი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მქონე პირს (რეცენზენტს) და სამეცნიერო ხელმძღვანელს.
3. კოლოქვიუმი მოიცავს დოქტორანტის მოხსენებას, რეცენზისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის წარდგენასა და დისკუსიას.
4. კოლოქვიუმის შედეგის შესახებ დეპარტამენტის საოქმო გადაწყვეტილება ინახება დოქტორანტის პირად საქმეში და ეცნობება დოქტორანტს.
5. კოლოქვიუმი გაფორმებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად:

- ა) ნაშრომის ტენიკური პარამეტრები: ზღვრული მოცულობა - 50–60 გვ.
ბ) ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი; ფურცლის ზომა - A/4; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობა – sylfaen; სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან – 1 სმ., ზემოდან – 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ.

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა (აპრობაცია)

1. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის) შესრულების შემდეგ (არაუგვიანეს მე-6 სემესტრის ბოლოს), შესაბამის დეპარტამენტში ხდება სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა (აპრობაცია).
2. დოქტორანტი აპრობაციამდე 10-15 კალენდარული დღით ადრე შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის 2 ბეჭდურ და ელექტრონული ვერსიას. ნაშრომის შეფასების მიზნით დეპარტამენტი გამოყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ორ რეცენზენტს (პირებს, რომლებთანაც დოქტორანტს არა აქვს საერთო კვლევა და ინტერესი, რაც დაკავშირებულია სადისერტაციო ნაშრომთან).
3. აპრობაცია მოიცავს დოქტორანტის მოხსენებას, რეცენზიებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის წარდგენას, დისკუსიას და შეფასებას (დადებითი - დაშვება საჯარო დაცვაზე ან უარყოფითი - ნაშრომის დაბრუნება გადასამუშავებლად/ხარვეზების გასასწორებლად).
4. აპრობაციაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში ნაშრომი ხარვეზის შესავსებად უბრუნდება დოქტორანტს მომდევნო სემესტრის განმავლობაში გადამუშავებისა და ხელახალი წარდგენის მიზნით, ხოლო დადებითი შეფასების შემთხვევაში- დოქტორანტი ვალდებულია, შესაბამისი რეცენზიების/შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს, აპრობაციიდან (წინასწარი დაცვა) არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვისა.
5. აპრობაციის შედეგის შესახებ დეპარტამენტის საოქმო გადაწყვეტილება ინახება დოქტორანტის პირად საქმეში და ეცნობება დოქტორანტს.

მუხლი 10¹. სადისერტაციო ნაშრომის ანტიპლაგიას პროგრამით შემოწმება (**დამატება - 08.05.2023 წლის N06-01/55 დადგენილებით**)

1. დოქტორანტი ვალდებულია სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ განხილვამდე (აპრობაციამდე) ატვირთოს სადისერტაციო ნაშრომი Moodle-ის პლატფორმაზე, ანტიპლაგიას (მსგავსების დეტექტირების) პროგრამის მეშვეობით სადისერტაციო ნაშრომში მსგავსების არსებობის შემოწმების მიზნით.
2. დოქტორანტის ნაშრომში მსგავსების არარსებობის შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს დასკვნას სადისერტაციო ნაშრომის აპრობაციაზე დაშვების შესახებ. აღნიშვნული დასკვნა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ა) ნაშრომის დასახელება; ბ) ავტორის ვინაობა; გ) ნაშრომის მოკლე მიმოხილვა; დ) ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნა, შესაბამისი შენიშვნებისა და რეკომენდაციების მითითებით; ე) მსგავსების დეტექტირების (ანტიპლაგიას პროგრამა) შედეგად გამოვლენილ მსგავსების მაჩვენებელი; ვ) არგუმენტირებულ პოზიცია ნაშრომის წინასწარ დაცვაზე (აპრობაცია) დაშვების

მიზანშეწონილობის თაობაზე. აღნიშნული დასკვნა ხელმძღვანელმა უნდა გააცნოს დოქტორანტს და მხოლოდ ამის შემდეგ წარუდგინოს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს, Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთულ და ანტიპლაგიის პროგრამის მიერ შეფასებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

3. დოქტორანტის ნაშრომში სხვა ნაშრომთან მაღალი ხარისხით მსგავსების არსებობის შემთხვევაში, სამეცნიერო ხელმძღვანელი Moodle-ის პლატფორმაზე უთითებს შესაბამის კომენტარებს და აღნიშნავს/უთითებს მსგავსებების დასაშვებ კატეგორიებზე (ლიტერატურა, ციტირება, საკანონმდებლო აქტი და სხვა). დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს დასკვნას დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომში არსებული მსგავსებების აღმოფხვრის შემდეგ ანტიპლაგიის პროგრამაში ხელახლა ატვირთვის საჭიროების თაობაზე. აღნიშნული დასკვნა ფაკულტეტის დეკანისათვის წარდგენამდე სამეცნიერო ხელმძღვანელმა უნდა გააცნოს დოქტორანტს.

4. დოქტორანტი უფლებამოსილია ანტიპლაგიის (მსგავსების დეტექტირების) პროგრამაში პირველადი შემოწმების შემდეგ სხვა ნაშრომთან მაღალი ხარისხით მსგავსების არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით, 15 დღის ვადაში ხელახლა ატვირთოს ნაშრომი Moodle-ის პლატფორმაზე. ამის შემდეგ მსგავსების განმეორებით აღმოჩენის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რეკტორის ბრძანებით იქმნება კომისია, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის, სამეცნიერო კვლევების სამსახურის, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, შესაბამისი დარგის სპეციალისტების შემადგენლობით, რომლებიც იკვლევენ ნაშრომში მსგავსების საკითხს (პლაგიატის ნიშნებს). კომისია ნაშრომის შემოწმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის აპრობაციაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. კომისიის დასკვნა, კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათთან ერთად წარედგინება ბსუ-ს რეკტორს, შემდგომი რეაგირებისათვის.

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის წარდგენის წინაპირობა

1. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის წარდგენის წინაპირობა:
 - ა) დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის თემაზე შესრულებული მინიმუმ სამი პუბლიკაცია (ნაშრომი/სტატია) უნდა იყოს დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში ან შესაბამის საერთაშორისო დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, მათ შორის, ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული Web of Science (Clarivate Analytics), ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities), Scopus ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში. (გამოცემების ნუსხას შეიმუშავებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და ამტკიცებს აკადემიური საბჭო. შესაძლებელია პუბლიკაციებისადმი მოთხოვნის დიფერენცირება, მიმართულებების სპეციფიკიდან გამომდინარე). **(ცვლილება - 06.02.2019 წლის N06-01/08 დადგენილებით)**
 - ბ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს რომ დოქტორანტს ქართველი სამეცნიერო ხელმძღვანელის პარალელურად

ჰყავდეს უცხოელი თანახელმძღვანელი ან სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებელი არის დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი ან სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებულ ვერსიას (ავტორეფერატს) აქვს საერთაშორისო რეცენზია (ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური, სადისერტაციო საბჭოსთან თანამშრომლობით ქმნის უცხოელ ექსპერტა მონაცემების საინფორმაციო ბაზას და უზრუნველყოფს ავტორეფერატის ინგლისურენოვანი ვარიანტის საერთაშორისო რეცენზირებას, ფორმა N8-ის გათვალისწინებით).

6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, კერძოდ, ქართველოლოგიისა და კავკასიონლოგიის მიმართულების სადისერტაციო ნაშრომების ინტერნაციონალიზაციისათვის ამ მუხლის „ბ“ ჰუნქტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისია ინგლისურენოვანი ავტორეფერატის გასაცნობად გაგზავნა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, რომელთა ნუსხას ადგენს შესაბამისი სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და წარდგენა

1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დისერტაციას, ავტორეფერატის ქართულ და ინგლისურ ვარიანტს (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) ტექნიკური ექსპერტიზისა და საერთაშორისო რეცენზირებისთვის, ასევე გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციას გადასცემს სამეცნიერო კვლევების სამსახურს.

2. სამეცნიერო კვლევების სამსახური: ([ცვლილება - 06.02.2019 წლის №06-01/08 დადგენილებით](#))

ა) ახორციელებს დისერტაციის და რეფერატის წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების ექპერტიზას, სადისერტაციო საბჭოში წარდგენიდან მათი შემფასებლებთან გადაგზავნამდე;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და რექტორის მოადგილესთან (სამეცნიერო მიმართულებით) შეთანხმებით განიხილავს დოქტორანტის მიერ შესრულებული (გამოქვეყნებული) პუბლიკაციების წინამდებარე დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას (უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერებით დადასტურდება დოქტორანტის მიერ შევსებული წინამდებარე დებულების ფორმა №10);

გ) უზრუნველყოფს ინგლისურენოვანი რეფერატის საერთაშორისო რეცენზირებას და შესაბამის დასკვნებს გადასცემს სადისერტაციო საბჭოს.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ დასკვნებისა და საერთაშორისო რეცენზიების წარდგენის შემდეგ, 10 (ათი) დღის ვადაში გამოყოფს 3 (სამ) შემფასებელს, რომელთაც სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

4. შემფასებელი უნდა იყოს მეცნიერების იმ დარგის/მიმართულების წარმომადგენელი, რომელშიც შესრულებულია დისერტაცია.

5. შემფასებელი არ შეიძლება იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი ან დოქტორანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი.

6. თუ 2 შემფასებელი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

7. შემფასებლებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის გადაცემიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

8. შემფასებელები დასკვნებს გადასცემენ სადისერტაციო საბჭოს. დასკვნაში უნდა შეფასდეს ჩატარებული კვლევის აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სარწმუნობა, დისერტაციის სტრუქტურა, გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა.

9. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების, ან არ დაშვების შესახებ.

10. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დაცვის თარიღი. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს დაცვისათვის მოსამზადებლად ეძლევა არანაკლებ 15 დღისა. (*ცვლილება - 06.02.2019 წლის N06-01/08 დადგენილებით*)

11. დაცვაზე არ დაშვების შემთხვევაში, დისერტაცია და შემფასებლების წერილობითი დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს.

12. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის (დისერტაცია) მომზადება უნდა მოხდეს ამ დებულებით დადგენილი წესით.

13. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შეპქონდეს დარგის განვითარებაში (თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი კვლევისას).

14. დისერტაცია უნდა მომზადდეს ქართულ ენაზე. მისი უცხო ენაზე მომზადების საკითხს წყვეტს შესაბამისი სადისერტაციო საბჭო (ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტი უზრუნველყოფს დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (რეფერატის) ქართულ და ინგლისურ ენაზე წარმოდგენას).

15. დისერტაცია უნდა დაიბეჭდოს და აიკინძოს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) თავფურცელზე, დისერტაციის პირველ გვერდზე -ზემოთ უნდა ბსუ-ს სრული დასახელება (საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი). მომდევნო ხაზებზე, 1,5 ინტერვალის დაშორებით, ფაკულტეტისა და დეპარტამენტის დასახელება, შემდეგ მიეთითება დოქტორანტის სახელი და გვარი, შუა ნაწილში – დისერტაციის სათაური (შრიფტის ზომა 16), შემდეგ - ფრჩხილებში, საძიებელი აკადემიური ხარისხი, მის ქვემოთ, მარჯვენა მხარესთან ახლოს, - დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა/ აკადემიური ხარისხი, ინიციალები და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი (მაგ: ბათუმი - 2017);

ა¹. ნაშრომის თავფურცლის შემდეგ უნდა განთავსდეს ავტორის განაცხადი ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ. სასურველია შემდეგი შინაარსის ტექსტის გამოყენება: „როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“ (განაცხადის ტექსტის ქვემოთ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი, გვარი, ხელმოწერა და თარიღი). (*დამტება -20.02.2018 წლის N20 დადგენილებით*)

- ბ) სარჩევში - თანმიმდევრულად უნდა აისახოს დისერტაციის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება, გვერდების მითითებით;
- გ) შესავალი – მასში წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის მეთოდოლოგია, პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, სამეცნიერო სიახლე, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა;
- დ) ძირითადი ტექსტი - უნდა ასახავდეს ნაშრომის შინაარსს. მასში უნდა გამოიყოს თავები და პარაგრაფები;
- ე) დასკვნა – უნდა წარმოადგენდეს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს;
- ვ) გამოყენებული ლიტერატურისნუსხა - უნდა მიეთითოს ბსუ-ს ციტირების წესის შესაბამისად.
- ზ) საილუსტრაციო მასალა.
16. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური პარამეტრებია: ზღვრული მოცულობა - 100—200გვ. (დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე); დასკვნა – 10-12 გვ; ფურცლის ზომა - A4; შრიფტის ზომა- 12-იანი, შრიფტის სახეობა – Sylfaen; სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან- 3 სმ., მარჯვნიდან – 1,5 სმ., ზემოდან და ქვემოდან – 2,5 სმ.
17. ავტორეფერატი დაცვამდე 15 დღით ადრე განთავსდება ბსუ-ს ვებ გვერდზე, დისერტაციის ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა ბსუ-ს ბიბლიოთეკას.
18. ამ დებულებით დადგენილი წესით მომზადებული დისერტაცია 5 ეგზემპლიარად წარედგინება შესაბამის სადისერტაციო საბჭოს, რომელსაცთანუნდა დაერთოს:
- ა) დოქტორანტის განცხადება რექტორის სახელზე (განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომ დოქტორანტმა შეასრულა სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, მზადაა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის და ნაშრომი არ წარმოადგენს პლაგიატს);
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;
- გ) ავტობიოგრაფია;
- დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვისთვის მზაობის შესახებ;
- ე) დისერტაციის ელექტრონული ვერსია CD დისკზე;
- ვ) გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების/სტატიების ჩამონათვალი (თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით);
- ზ) დისერტაციის წინასწარი განხილვის (აპრობაციის ოქმი) და რეცენზენტების დასკვნები;
- თ) რეფერატი ქართულ და ინგლისურ ენებზე (30-40გვ) ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია;

მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვა

სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა და შეფასების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

მუხლი 15. დოქტორის ხარისხის მინიჭება, დისერტაციის გამოქვეყნება და დოქტორის დიპლომის გაცემა

1. ბსუ-ს დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (Ph.D) ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ფორმირების

წესის შესაბამისად–მიმართულებების ან/დადარგის/სპეციალობის მითითებით.

2. დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვის შემდეგ, ფაკულტეტის მიერ დადგენილ ვადაში (1–3თვე) გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით (დისერტაციის ერთი ბეჭდური ან ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას. დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდაგ ამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე).
3. დოქტორის დიპლომი სტანდარტულ დანართთან ერთად გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ.

მუხლი 16. დოქტორანტის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1. ყოველი სასწავლო წლის (სემესტრის) დასაწყისში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დგინდებაბსუ-ს სტუდენტთა (მათ შორის დოქტორანტთა) მიერ აკადემიური (სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ათვისებაზე ვალდებულების აღება) და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი - სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის თარიღი.
2. დოქტორანტურაში სწავლის საფასური განისაზღვრება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით და აისახება ბსუ-ს და დოქტორანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაში. (**ცვლილება - 08.05.2023 წლის N06-01/55 დადგენილებით**)
3. 2020-21 სასწავლო წლის დაწყებამდე ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხულ დოქტორანტებთან გაფორმებულ „დოქტორანტურაში სწავლის ხარჯთაღრიცხვაში“ (წინამდებარე დებულების N9 ფორმის შესაბამისად, რომელიც არის ბსუ-ს და დოქტორანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, გონივრულ ვადაში უნდა ეცნობოს დოქტორანტს. (**ცვლილება - 08.05.2023 წლის N06-01/55 დადგენილებით**)

მუხლი 17. დოქტორანტისთვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

1. დოქტორანტისთვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) ადმინისტრაციული (სწავლის საფასურის გადახდა) ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;
 - ბ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
 - დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით დოქტორანტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს სემესტრის დაწყებიდან არა უგვიანეს 15 დღის განმავლობაში. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის ან სხვა შემთხვევაში, როცა დოკუმენტურად დასტურდება დოქტორანტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა, გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით.
3. დოქტორანტისთვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) დოქტორის ხარისხის მინიჭება;
 - გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა;
 - დ) ერთი და იგივე სასწავლო და სამეცნიერო (კოლოკვიუმები) კომპონენტის სამჯერ დადებით ქულაზე შეუსრულებლობის შემთხვევაში;
 - ე) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

- ვ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლოს დაწესებულებაში გადასვლა (მობილობა);
- ზ) დოქტორანტის მხრიდან პლაგიატი;
- თ) უნივერსიტეტს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და დოქტორანტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა;
- ი) გარდაცვალება.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით გაბათილდება დოქტორანტისათვის დოქტორის ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილება.
5. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ, მისი მომდევნო (არაუმეტეს ოთხი) სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხი (სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობის განხილვა, დამატებული სემესტრის/სემესტრების რაოდენობა და სხვა) განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს აკადემიური საბჭო, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროგრამას არ ეწურება აკრედიტაციის ვადა.

მუხლი 18. დოქტორანტის მობილობა

1. დოქტორანტს უფლება აქვს გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტს უწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.
2. დოქტორანტს უფლება აქვს შეიცვალოს სადოქტორო პროგრამა ბსუ-ში (შიდა მობილობა) ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პერიოდში, გაზაფხულის ან შემოდგომის სემესტრის მობილობაზე.
3. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა ბსუ-ში ფორმდება რექტორის ბრძანებით, შიდა მობილობის შედეგების მიხედვით.

მუხლი 19. გარდამავალი დებულება

2016-2017 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ დოქტორანტებს, ნაცვლად ამ დებულების მე-12 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული, „სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის წარდგენის წინაპირობებისა“, მოეთხოვებათ მათ მიერ სადოქტორო თემაზე შესრულებული მინიმუმ სამი ნაშრომი/სტატია იყოს დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/ რეცენზირებად ან დადებითი იმპაქტ ფაქტორის მქონე ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში, ან შესაბამის დარგობრივ სამეცნიერო საერთაშორისო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში.

**სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სავარაუდო სამეცნიერო
ხელმძღვანელის თანხმობა**

დოქტორანტობის კანდიდატის სახელი, გვარი: სადოქტორო პროგრამა:-----

სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია (პროექტის დასახელება, კვლევის
მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და კვლევის განხორციელების ეტაპები):-----

თანხმობა ზემოაღნიშნული საკვლევი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე:
სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, დაკავებული თანამდებობა -----;
ხელმძღვანელობის კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაცია შესაბამის დარგში
(პუბლიკაციის დასახელება და გამოქვეყნების ადგილი) -----;
-----;

დოქტორანტობის კანდიდატის ხელმოწერა -----
სამეცნიერო ხელმძღვანელობის კანდიდატის ხელმოწერა -----
თარიღი -----

დოქტორანტობის კანდიდატთან გასაუბრების შეფასების ფორმა

”---“ ----- წ.

ფაკულტეტი -----

სადოქტორო პროგრამა -----

კომისიის წევრის სახელი და გვარი, აკადემიური თანამდებობა -----

| | | | | | |
|---|--|---|---|---|--|
| № | დოქტორანტობის კანდიდატის სახელი, გვარი | კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები) - მაქსიმალური 40 ქულა | ლიტერატურის მიმოხილვა, მეთოდოლოგია და კვლევისგანხორციელების ეტაპები - მაქსიმალური 20 ქულა | ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი - მაქსიმალური 20 ქულა | აკადემიური/პროფესიული მიღწევები, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების, კომუნიკაციის უნარი - მაქსიმალური 20 ქულა |
| | | | | | |
| | | | | | |

საგამოცდო კომისიის წევრის ხელმოწერა:

დოქტორანტობის კანდიდატთან გასაუბრების/გამოცდის შეფასების უწყისი
”-----“ ----- წ.

ფაკულტეტი — _____

სადოქტორო პროგრამა _____

სპეციალობა (საგანი) -----

| | დოქტორანტობის კანდიდატის სახელი, გვარი | პირადი ნომერი | შეფასება | |
|--|---|---------------|----------|------------|
| | | | ქულა | სიტყვიერად |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

საგამოცდო კომისიის შემადგენლობა

| | სახელი, გვარი | აკადემიური თანამდებობა | ხელმოწერა |
|--|---------------|---------------------------|-------------|
| | | | თავმჯდომარე |
| | | | წევრი |

ფაკულტეტის დეკანი _____

(ბ. ა.)

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დოქტორანტის სახელი და აგვარი : _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები:

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების თარიღი და ნომერი -----

| სასწავლო კომპონენტი | დოქტორანტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობა | შეფასება |
|------------------------|--|----------|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

ხელმოწერები:

დოქტორანტი _____

სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

თარიღი: _____

დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი : _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების თარიღი და ნომერი -----

სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება -----

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერილობა:

ა) კვლევის მიზანი:

ბ) საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა:

გ) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:

დ) სადისერტაციო ნაშრომის შესრულების (კვლევის) სავარაუდო გრაფიკი:

ხელმოწერები:

დოქტორანტი _____

სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

თარიღი: _____

**ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ
(პროფესორის ასისტენტობა)**

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

დოქტორანტის ასისტენტობის ხელმძღვანელი: _____

| შესრულებული სამუშაო | ქულა |
|---|------|
| სასწავლო მასალის მომზადება (მაქსიმუმი- 30 ქულა) | |
| ჯგუფში მუშაობის სასწავლო პროცესის ორგანიზება (მაქსიმუმი- 30 ქულა) | |
| საგამოცდო მასალის მომზადება (მაქსიმუმი -20 ქულა) | |
| საგამოცდო პროცესის ორგანიზება (მაქსიმუმი- 20 ქულა) | |
| საბოლოო შეფასება | |

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

ასისტენტობის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

სადოქტორო სემინარის შეფასების უწყისი

„ _____ წელი,

დოქტორანტის გვარი, სახელი: -----

პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების სახელი, გვარი: -----

სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი: -----

სადოქტორო პროგრამის დასახელება: -----

სადოქტორო სემინარის ნაშრომის დასახელება: -----

შეფასების კომისია:

წევრი 1.-----

წევრი 2.-----

წევრი 3.-----

| № | სასემინარო ნაშრომი სემინარის შეფასების კომპონენტები | შეფასების მაქსიმალური ქულა კომპონენტების მიხედვით (დაცვაზე გასვლის წინაპირობაა მინიმ.31 ქულა) | შეფასება |
|-----|--|--|----------|
| 1 | ნაშრომის შინაარსობრივი მხარე | 60 ქულა | |
| 2 | ნაშრომის პრეზენტაცია (ფორმალური მხარე და დისკუსიაში მონაწილეობა) | 40 ქულა | |
| სულ | | 100 ქულა | |

კომისიის წევრების ხელმოწერა: -----

შევსების თარიღი: -----

ფაკულტეტის დეკანი: -----

(გ.ა)

**საერთაშორისო რეცენზირებისათვის დისერტაციის შემოკლებული
ვარიანტის (რეფერატის) წარმოდგენისა და მისი შეფასების წესი**

1. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი რეფერატის (30-40გვ) ელექტრონული ვერსია ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ ეგზავნება უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში დასაქმებულ უცხოელ ექსპერტს, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
2. ექსპერტი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი. მისი ვინაობა კონფიდენციალურია რეფერატის შეფასების ბსუ-ში მიღებამდე.
3. დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის/სტატიის რეცენზირება შეიძლება მოახდინოს აგრეთვე: 1) უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა, უცხო ქვეყნის პარტნიორი უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა, მისი თანხმობის შემთხვევაში; 2) უნივერსიტეტში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა, მისი თანხმობის შემთხვევაში (მაგალითად, DAAD-ის, Fullbright-ის სტიპენდიანტები და სხვა).
4. ექსპერტის დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან 1 (ერთი) თვის ვადით. ამ ვადაში ექსპერტის პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, რეფერატი ეგზავნება სხვა ექსპერტს.
5. რეცენზირებისათვის გაწეული შრომის ანაზღაურება გაიცემა ექსპერტთა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
6. რეცენზენტის მიერ რეფერატი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას.
7. თუ ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითაა. თუ ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ნაშრომი ეგზავნება სხვა ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს არაუმეტეს ორ თვეში გადასამუშავებლად (შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის N20 დადგენილებით).
8. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

 - ა) შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა) - მოწმდება: პრობლემის აქტუალობა; დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი; ავტორის მიზნის სიცხადე; ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური არგუმენტაცია; ნაშრომის ძირითად საკვლევ საკითხებზე კონცენტრირება;
 - ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა) - მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება საკითხის სიღრმისეულად შესწავლა; საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა; ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით; არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა; არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი; გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.
 - გ) მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა)- მოწმდება: მონაცემების სისწორე; წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწესებული ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონ ეორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ; პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს;

რამდენად ორგანულად ერჩყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები; არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყაროა ღნიშნულინ აშრომის ბიბლიოგრაფიაში.

დ) სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა) -მოწმდება: არის თუ არა ნაშრომი კარგად სტრუქტურირებული; კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე; სტატია კარგად არის თუ არაორგანიზებული და მისი ნაწილები თუ არის ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში; როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზეგ ადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.

ე) შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა) -მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი; შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა; არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის; ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები; ლოგიკურია თუ არა დასკვნები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 -----ფაკულტეტის
 სადოქტორო პროგრამაზე: -----
 დოქტორანტ -----
 სწავლის ხარჯთაღრიცხვა

| № | საფასური | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | სულ თანხა (ლარი) | შენიშვნა |
|-----|---|-------------------------|-----------|----------------------------------|------------------------|----------|
| 1 | სასწავლო კომპონენტი | | | | | |
| 2 | დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა | | | | | |
| 3 | სადისერტაციო ნაშრომის საერთაშორისო რეცენზირება | | | | | |
| 4 | სადისერტაციო საბჭოში სადისერტაციო ნაშრომის შეფასება და საჯარო დაცვა | | | | | |
| 5 | ადმინისტრირების ხარჯი | | | | | |
| სულ | | | | | | |

დოქტორანტის ხელმოწერა:

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი: -----

დოქტორანტის მიერ შესრულებული სამეცნიერო პუბლიკაციები

დოქტორანტის სახელი, გვარი-----

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა -----

სადისერტაციო ნაშრომი -----

| პუბლიკაციის დასახელება | წელი | ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი | პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაც იო კოდი DOI ან ISSN | სამცნიერო ბაზის დასახელება | თანაავტორი | შენიშვნ ა |
|---------------------------|------|--|--|----------------------------------|------------|--------------|
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

დოქტორანტის მიერ შესრულებული/გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები
შესაბამისობაშია ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან, რასაც
ვადასტურებთ:

ბსუ-ს დოქტორანტი -----

დოქტორანტის ხელმძღვანელი -----

სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი: -----

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი: -----

ბსუ-ს რექტორის მოადგილე (სამეცნიერო მიმართულებით): -----

თარიღი: